სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 72

2019 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

„2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 მაისის N60 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N713091, 07.06.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 მაისის N60 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული პირველი დანართის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"გ) დოქტორანტის, დისერტაციის ხელმძღვანელის, ასევე თანახელმძღვანელის ან/და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV-ები) – დოქტორანტი, დისერტაციის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში, მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება, ექსპორტირდება CV და დოქტორანტის მიერ იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (ნიმუში - დანართი 5); უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია, CV-ის ინგლისური და ქართული ვერსიები წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმატით".
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი

სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი
ქეთევან გაბიტაშვილი

001203